

განმარტებითი ბარათი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში 2006 წლის 9 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევადა: 1. 2006 წლის 15 ივლისამდე კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის – სისტემის კომერციული ოპერატორის დაფუძნება, რაც განხორციელდა კიდევ; 2. 2007 წლის 1 იანვრამდე სისტემის კომერციული ოპერატორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 70% წილის გასხვისება, ამავე მუხლით დადგენილი პირობებით, რაც არ შესრულდებოდა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად ამოღებულ უნდა იქნეს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის 2,3,4,5 პუნქტები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის აღნიშნული ცვლილებით შესაძლებელი იქნება, რომ შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის გასხვისება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

გ) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან.და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ სპეციალისტებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: წერილობითი შეფასებები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტი.